

ი. გედევანიშვილი, მ. წერეთელი, გ. ტოროშელიძე,

ო. ფოფხაძე, ი. ლომინაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ინტერკულტურული კომპეტენტურობა და ეთნოცენტრულობა საქართველოში მცხოვრებ ქართველ, აზერბაიჯანელ და სომეხ ახალგაზრდებში¹

აბსტრაქტი

სტატია ეხება ინტერკულტურული კომპეტენტურობის შესწავლას ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ სტუდენტებში. კვლევის მიზანი იყო აღნიშნული ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელ სტუდენტებს შორის ეფექტური ინტერკულტურული კომუნიკაციის საფუძვლების შესწავლა. ტერმინები - **ინტერკულტურული კომპეტენტურობა** და მისი ანტონიმი - **ეთნოცენტრულობა**, სტატიაში განხილულია, როგორც ინტერკულტურული სენსიტიურობის მახასიათებლები, რომლებიც, თავის მხრივ, ეფექტურ ინტერკულტურულ კომუნიკაციას უდევს საფუძვლად.

სტატიაში წარმოდგენილია ახალციხის და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტების ქართული ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელ სტუდენტებთან და, აგრეთვე, ამავე უნივერსიტეტების “ოთხი პლუს ერთი” პროგრამის პირველი საფეხურის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სომეხ და აზერბაიჯანელ სტუდენტებთან ჩატარებული ფოკუს-ჯგუფების ანალიზის შედეგად მიღებული მონაცემები.

შესწავლილ იქნა შემდეგი ძირითადი თემები: თვითშეფასება, სხვათა შეფასება, თვისებები, რომლებითაც კვლევაში მონაწილე ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელი სტუდენტები ახასიათებენ საკუთარ და სხვა ჯგუფებს, დამოკიდებულებები ეთნიკურ ჯგუფებს შორის, სხვა ეთნიკური ჯგუფების ადატაციის და კულტურული თავისებურებების ცოდნა. მონაცემები გაანალიზდა ეთნოცენტრულობის და ეთნორელატიურობის კონცეფციების კონტინიუმზე დაყრდნობით. კვლევამ აჩვენა, რომ ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი სტუდენტები ინტერკულტურული კომპეტენტურობის თვალსაზრისით

¹ სტატია შესრულებულია „კავკასიის შვეიცარიული აკადემიური ქსელის (ASCN)“ მიერ დაფინანსებული კვლევითი პროექტის „სტუდენტთა ინტერკულტურული სენსიტიურობა საქართველოში“ ფარგლებში.

ერთმანეთისგან განსხვავდებიან, კერძოდ: ქართველების ინტერკულტურული კომპეტენტურობა სომეხების და აზერბაიჯანელების მიმართ არ არის ჩამოყალიბებული და განვითარებული; სომეხ ახალგაზრდებში აშკარად ჩანს ეთნოცენტრული ტენდენციები, რაც საკმაოდ მკვეთრად ვლინდება აზერბაიჯანელების მიმართ, ხოლო ქართველების მიმართ არ არის იმდენად მკვეთრი, შეიძლება ითქვას, რომ შესამჩნევია ეთნორელატიურობის მცირედი ტენდენციაც; აზერბაიჯანელი სტუდენტები ეთნორელატიურ განწყობას ავლენენ ქართველების მიმართ, თუმცა სომეხების მიმართ ძალზე ეთნოცენტრულები არიან.

საკვანძო სიტყვები: ინტერკულტურული კომპეტენტურობა, ინტერკულტურული სენსიტიურობა, ინტერკულტურული კომუნიკაცია, ეთნოცენტრულობა და ეთნორელატიურობა.

შესავალი

თანამედროვე სამყაროს გლობალიზაციის პირობებში განსაკუთრებით გაიზარდა ეფექტური კულტურათშორისი კომუნიკაციის აუცილებლობა. კომპეტენტური ინტერკულტურული კომუნიკაციისთვის, პირველ რიგში, აუცილებელია ეთნოცენტრულობის დაძლევა და ეთნორელატიური ინტერკულტურული სენსიტიურობის განვითარება. ეს უკანასკნელი გულისხმობს ადამიანის ღიაობას, მზაობას, დააფასოს და მიიღოს კულტურული სხვაობები. ეს საკითხი მეტად აქტუალურია ჩვენი მრავალეთნიკური და მრავალკულტურული ქვეყნისთვის.

ეფექტური და კომპეტენტური ინტერკულტურული კომუნიკაციის განვითარებაში განსაკუთრებული როლი

განათლების სისტემას ეკუთვნის, რაც შესაბამის განათლების პოლიტიკას საჭიროებს. განათლების პოლიტიკის ფორმირებისთვის საჭიროა საზოგადოების, განსაკუთრებით, მისი ახალგაზრდული ნაწილის კვლევა მათში არსებული განწყობების, სტერეოტიპების, ატიტუდების, მოლოდინების თუ მზაობის კუთხით.

ინტერკულტურული სენსიტიურობა სხვადასხვა ავტორთან სხვადასხვაგვარად არის განმარტებული, მაგრამ, ძირითადად, ყველა თანხმდება იმაზე, რომ ინტერკულტურული სენსიტიურობა ინტერკულტურული კომუნიკაციის საფუძველს შეადგენს და მასში თავმოყრილია კოგნიტური, აფექტური, ქცევითი განზომილებები, ასევე, იგი გულისხმობს პოზიტიურ განწყობებს უცხო კულტურის მიმართ.

ინტერკულტურული სენსიტიურობის მახასიათებელია ინტერკულტურული კომპეტენტურობა, რომელიც განაპირობებს განსხვავებული კულტურის წარმომადგენელ ადამიანთა და ეთნიკურ ჯგუფთა კომფორტულ / ეფექტურ თანაცხოვრებას და/ან ეფექტურ თანამშრომლობას.

ზუსტად რას ნიშნავს, გქონდეს ინტერკულტურული აზროვნება, რა ატიტუდები და ქცევები გააჩნიათ ამგვარად მოაზროვნე ადამიანებს? ადრეულ კვლევებში შესწავლილ იქნა ინტერკულტურულ კომპეტენტურობასთან დაკავშირებული სპეციფიკური ქცევები, რომლებიც დამახასიათებელია იმ პიროვნებებისათვის, რომლებიც ეფექტურად ცხოვრობენ და მუშაობენ სხვადასხვა კულტურებში. ამ კვლევების თანახმად (Trandis, 1994), ინტერკულტურულად კომპეტენტურ ადამიანებს აქვთ სამი საერთო თვისება:

(1) მათ შეუძლიათ მართონ ფსიქოლოგიური სტრესი, რომელიც თან ახლავს ინტერკულტურული ურთიერთქმედებების უმეტესობას;

(2) მათ შეუძლიათ ადვილად დაამყარონ კომუნიკაცია სხვადასხვა

კულტურის წარმომადგენლებთან როგორც ვერბალურად, ასევე - არავერბალურად;

(3) მათ შეუძლიათ განავითარონ და შეინარჩუნონ ახალი და აუცილებელი ინტერპერსონალური ურთიერთობები.

სხვა კონცეპტუალიზაციები ინტერკულტურულ ეფექტიანობას და მგრძობელობას განიხილავს, როგორც ურთიერთქმედებას შემეცნებით, აფექტურ და ქცევით სფეროებში.

ადამიანები, რომელთაც აქვთ ინტერკულტურული აზროვნება, საკუთარ და სხვა კულტურას შორის სხვაობათაგან განრიდების ნაცვლად, მათი პატივისცემისა და აღიარებისაკენ იხრებიან. ისინი არაცნობიერი ეთნოცენტრიზმიდან გადადიან თავიანთი და სხვების კულტურების გაცნობიერებისაკენ. იმის გაცნობიერების ნაცვლად, თუ რა არ უნდა გააკეთონ, რათა თავიდან აირიდონ რასიზმი, სექსიზმი და სხვა ცრურწმენები თუ ფობიები, ისინი ხვდებიან, თუ რა უნდა გააკეთონ, რათა შექმნან პატივისცემით სავსე, პროდუქტიული ინტერკულტურული ურთიერთობები. ინტერკულტურულად ეფექტური ადამიანები ბუნებით

აქტიურები არიან და ეძებენ განსხვავებულ პერსპექტივებს გადაწყვეტილებების მიღებისა და მოქმედების დროს.

სხვა კულტურებთან ეფექტურად ურთიერთობისთვის ადამიანებმა უნდა განივითარონ უნარები, რათა ობიექტურად მოახდინონ რეაგირება სხვების ქცევაზე, უნდა ეცადონ, მოახდინონ ქცევის ერთზე მეტი კულტურული ინტერპრეტაცია. მათ უნდა იცოდნენ, როგორ მოაგვარონ კონფლიქტები სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებს შორის ეფექტური და შესაბამისი მეთოდებით. უნდა მოახდინონ მოტივაცია მათი კულტურული ღირებულებების შესაბამისად. პატივი უნდა სცენ ინტერკულტურულ განსხვავებულობას სხვადასხვა პერსპექტივის, უნარის, ცოდნის გამლიერებისა და საზღვრების ანალიზის საშუალებით. მათ მოდელირება უნდა გაუკეთონ კულტურულად მგრძობიარე ქცევებსა და ატიტუდებს, მოიძიონ ახალი ცოდნა კულტურული განსხვავებულობის შესახებ და მოახდინონ ინტერკულტურული პერსპექტივების ინსტიტუციონალიზაცია თავიანთ პირად და

პროფესიულ პრაქტიკაში (Cushner, McClelland, Safford, 2006).

ამის საპირისპიროდ, არსებობს მოვლენათა ისეთი ხედვა, როცა საკუთარი ეთნიკური ჯგუფი განიხილება, როგორც ცენტრალური, ხოლო სხვა დანარჩენი განიხილება მასთან მიმართებით, თუ მასთან შედარებით. ამ ფენომენს, ანუ საკუთარი ეთნიკური ჯგუფისთვის უპირატესობის მინიჭებას ეთნოცენტრულობა ეწოდება. ეს ტერმინი, ჯერ კიდევ 1906 წელს, უ. სამნერმა განმარტა, როგორც: “ისეთი ვითარება, როცა საკუთარი ჯგუფი დგას ცენტრში და ყველა დანარჩენი მას დარდება, როგორც ეტალონს“ [Stepman, Stepman, 1996, p.125] თანამედროვე მკვლევრები ეთნოცენტრულობას განიხილავენ, როგორც: “საკუთარი, ეტალონური ეთნიკური ჯგუფის ტრადიციების პრიზმაში დანახულ და შეფასებულ ცხოვრებისეულ მოვლენებს“ (სტეფანენკო, 2003).

ბრევერმა და კემპბელმა (ბრევერი, კემპბელი, 1976) გამოყვეს ეთნოცენტრულობის ძირითადი მახასიათებლები:

1. საკუთარი კულტურის ელემენტების: ნორმების, როლების, ღირებულებების, როგორც

ბუნებრივისა და ჭეშმარიტის აღქმა, ხოლო სხვა კულტურის ელემენტების კი - როგორც არაბუნებრივისა და არასწორის;

2. საკუთარი წეს-ჩვეულებების, როგორც უნივერსალურის განხილვა;

3. წარმოდგენები იმის შესახებ, რომ ადამიანისთვის ბუნებრივია მხოლოდ საკუთარი ეთნიკური ჯგუფის წევრებთან თანამშრომლობა, მათთვის დახმარების აღმოჩენა, მათით სიამაყე, ხოლო სხვა ჯგუფების მიმართ უნდობლობა და მათი მტრობაც კი.

აღსანიშნავია, რომ ბრევერის და კემპბელის მიერ გამოყოფილი ბოლო კრიტერიუმი ყოველთვის მოწმობს ინდივიდის ეთნოცენტრულობას. რაც შეეხება პირველ ორს, ზოგიერთი ეთნოცენტრული ადამიანი აღიარებს სხვათა კულტურულ ფასეულობებს, ოღონდ ისინი საკუთართან შედარებით დაბალი დონის ფასეულობებად მიაჩნიათ.

ეთნოცენტრულობის შეფასებაში მკვლევართა შორის არ არსებობს ერთსულოვნება, მაგრამ, როგორც

ნებისმიერი მოვლენა, ეთნოცენტრულობაც არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც რაიმე დადებითი ან უარყოფითი.

ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეთნოცენტრიზმი პოზიტიურია ეთნიკური იდენტურობის შესანარჩუნებლად და ნეგატიურია (შემაფერხებელია) ჯგუფებს შორის ურთიერთობისთვის.

ბრევერმა და კემპბელმა იკვლიეს აფრიკის ოცდაათი ეთნიკური გაერთიანება და დაადგინეს, რომ ეთნოცენტრულობა ვლინდებოდა ყველგან, მაგრამ ცვალებადი იყო მისი გამოვლენის დონე. აფრიკის ეთნიკურ ერთობათა დაახლოებით, მესამედი ერთი ან მეტი სხვა ეთნიკური ჯგუფის მიღწევებს თავისზე უპირატესად მიიჩნევდა (ბრევერი, კემპბელი, 1976). ეთნოცენტრულობას, რომლის დროსაც საკმაოდ ობიექტურად ფასდება საკუთარი ეთნიკური ჯგუფის თვისებები და შეინიშნება სხვა ჯგუფების განსხვავებათა გაგების მცდელობა, ეწოდება მოქნილი ან კეთილგანწყობილი ეთნოცენტრულობა.

არსებობს ეთნოცენტრულობის სხვა ფორმაც, მას საბრძოლო ეთნოცენტრიზმს უწოდებენ, ის ახასიათებს ეთნიკურ

მიგრანტებს ან “მცირე ერებს“. მეზობლი ეთნოცენტრიზმი გამოიხატება სიძულვილში, შიშში, უნდობლობასა და საკუთარ წარუმატებლობაში სხვა ჯგუფების დადანიშნულებაში. თუმცა, ასეთი ეთნოცენტრულობა ხელს უწყობს პოზიტიური ეთნიკური იდენტურობის ჩამოყალიბებას, ის სრულებით დისფუნქციურია პიროვნული ზრდისთვის და სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებსა და კულტურებს შორის ურთიერთობებისთვის.

ეთნოცენტრულობის უკიდურეს ფორმას წარმოადგენს დელეგიტიმიზაცია, რაც გამოიხატება საკუთარი ჯგუფის გადმერთებასა და სხვა ჯგუფთა დაკნინებაში, იმდენად, რომ ისინი არ მიაჩნიათ ადამიანთა სიაში ყოფნის ღირსად (მაგ. ფაშისტური გერმანიის იდეოლოგია არიული რასის უპირატესობის შესახებ). ამრიგად, შეიძლება ვთქვათ, რომ ეთნოცენტრულობის გამოვლენის სხვადასხვა ხარისხი არსებობს, რაც შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც კონტინუუმი კეთილგანწყობილსა და დელეგიტიმურს შორის.

კვლევის მეთოდოლოგია

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, გადავწყვიტეთ გვეკვლია ინტერკულტურული სენსიტიურობის მახასიათებლები ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ ახალგაზრდებში, კერძოდ, მოგვეპოვებინა ინფორმაცია სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებში საკუთარი და სხვა ეთნიკური ჯგუფების კულტურის, ადათ-წესების, რელიგიური თავისებურებების და პიროვნული თვისებების ცოდნის შესახებ; აგრეთვე, სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელთა შორის არსებული კერძო ურთიერთობების შესახებ.

კვლევის ობიექტად განისაზღვრა ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ახალგაზრდები - სტუდენტები, რომლებიც განათლებას იღებენ საქართველოს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში. სტუდენტების შესწავლა საინტერესო და მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ ისინი წარმოადგენენ ჩვენი საზოგადოების ხვალისდელ დღეს, მათში არის კონცენტრირებული განვითარების მომავალი ტენდენციები.

ჩვენი ჯგუფის მიერ ჩატარდა ფოკუს-ჯგუფები ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტებთან (ორი ჯგუფი), ასევე, ახალციხის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან (სამი ჯგუფი) და ამავე უნივერსიტეტების „ერთი პლუს ოთხი“ პროგრამის პირველ საფეხურზე (მოსამზადებელი) მყოფ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სომეხ და აზერბაიჯანელ სტუდენტებთან (ორი ჯგუფი). ფოკუს-ჯგუფებში მონაწილეობდა თითოეული ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი 10-10 სტუდენტი.

კვლევის ინსტრუმენტი

ფოკუს-ჯგუფის გზამკვლევი მოიცავდა სხვადასხვა კითხვას ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი სტუდენტების მიერ საკუთარი და სხვა კულტურათა წარმომადგენლების შეფასების, მათ მიმართ დამოკიდებულებებისა და ერთმანეთის კულტურულ თავისებურებებზე არსებული ინფორმაციის შესახებ. ფოკუსირებული დისკუსიის დროს

ინფორმაცია შეგროვდა შემდეგი ძირითადი თემების მიხედვით: თვითშეფასება, სხვათა შეფასება, თვისებები, რომლებსაც კვლევაში მონაწილე ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელი სტუდენტები მიაწერენ საკუთარ და სხვა ჯგუფებს; დამოკიდებულებები ეთნიკურ ჯგუფებს შორის; სხვა ეთნიკური ჯგუფების ადატაცებისა და კულტურული თავისებურებების ცოდნა.

კვლევის შედეგები

მოპოვებულ საკმაოდ მდიდარ მასალაზე დაყრდნობით, გადაწყვეტეთ სამი ეთნიკური ჯგუფის (ქართველები, სომეხები, აზერბაიჯანელები) ახალგაზრდების დახასიათება ინტერკულტურული კომპეტენტურობის მხრივ. კერძოდ, ეთნოცენტრულობის და ეთნორელატიურობის კუთხით. ქვემოთ განხილულია მიღებული შედეგები საკვლევი თემების მიხედვით.

თვითშეფასება

ქართველი სტუდენტების თვითშეფასება ხასიათდება მაღალი თვითკრიტიკულობით. ქართველები,

ძირითადად, ხაზს უსვამენ: თავიანთ სიზარმაცეს, უპასუხისმგებლობას, არამიზანდასახულობას, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უუნარობას. („...ყოველთვის სხვისი იმედი აქვთ“. „...ცდილობენ თავიანთი პასუხისმგებლობა სხვას გადააბარონ“). თუმცა, ქართველების თვითშეფასება უფრო პოზიტიურია, ვიდრე ნეგატიური, რადგან უარყოფით მახასიათებლებს ისინი თითქოს ერთგვარ გარდამავალ მოვლენად მიიჩნევენ; თვითკრიტიკულობასთან ერთად, ასევე მაღალია თვითკმაყოფილების დონე („...ამაყები ვართ“, „...უფრო ხასიათის სიჯიუტე და პრინციპულობა გვახასიათებს“).

სომეხი სტუდენტების თვითშეფასება არ გამოირჩევა მაღალი თვითკრიტიკულობით. სომეხები, ისევე როგორც ყველა ეთნიკური ჯგუფი, მიუთითებენ თავიანთ უარყოფით მხარეებზე, მაგრამ ეს არ აისახება მათ თვითშეფასებაზე, რადგან აპრიორი მიჩნეული აქვთ თავიანთი გამორჩეულობა („მე ვიტყვოდი რომ ძალიან ჭკვიანები ვართ. მსოფლიოში მიღებულია, რომ ჩვენ და, ანუ ებრაელები, ... ანუ ძალიან ჭკვიანი ვართ.“), ხოლო

მათ გარშემო მტრული გარემოს არსებობა („ ჩვენ, ვიტყვოდი მე, რომ ჩვენ წარსულს ვერ ვივიწყებთ და ისტორიას ვერ ვივიწყებთ, ანუ ვერ ვთმობთ იმას, რაც ჩვენია“).

აზერბაიჯანელი სტუდენტების თვითშეფასება არ გამოირჩევა არც ამბიციურობით, არც თვითკრიტიკულობით. ისინი თითქოს თვითკმარები არიან, კმაყოფილნი თავიანთი მორწმუნეობით და გულდიაობით („გულდია, ხელგამლილი პატრიოტები ვართ“, „...გულუბრყვილოები, მორწმუნეები ვართ“, „ყველაფერი ჩამოთვალეს რა ... მუსლიმები ვართ... და აქედან გამომდინარე თვისებებიც გვაქვს“). ის ნეგატიური, რომელსაც აზერბაიჯანელები, ძირითადად, თავიანთ მოძველებულ ტრადიციებში ხედავენ, არ განაწყობს მათ თვითკრიტიკისკენ, რადგან მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი “კეთილი მუსლიმობაა.“

სხვათა შეფასება

ქართველი სტუდენტები აზერბაიჯანელების შეფასებაში საკმაოდ მწირნი იყვნენ, თითქოს თავს არიდებდნენ მკვეთრ შეფასებას,

განსაკუთრებით, თავს იკავებდნენ მათი სტატუსობრივი შეფასებისგან. თუ რამდენიმე ფრაზის მიხედვით ვიმსჯელებთ, ეს შეფასება არ არის მაღალი (“ისინი ძალიან დიდ ყურადღებას ანიჭებენ მატერიალურ რაღაცეებს... ფულს... სახლს...”. “მე მგონი, ქართველები ფიქრობენ, რომ აზერბაიჯანელები არიან უფრო ფიზიკური შრომისათვის შექმნილები”), მაგრამ, ამგვარი შეფასებისა და განსხვავებული რელიგიის მიუხედავად, აზერბაიჯანელები ქართველებისთვის “გახსნილი” ეთნიკური ჯგუფია.

ქართველი სტუდენტები სომეხებს ახასიათებენ, როგორც “ჩაკეტილ” ეთნიკურ ჯგუფს, ქართველების მიერ სომეხთა შეფასება წინააღმდეგობრივია: ერთი მხრივ, აფასებენ მათ გონიერებას, მიზანდასახულობას, შეკავშირებულობას და უფრო მაღალ სტატუსს ანიჭებენ მათ („...სომეხი რომ დაიბადა ებრაელი ტიროდაო ... ანუ თავისთავი მიაჩნიათ ყველაზე მაგარი“), მეორე მხრივ, აკნინებენ მათ (“ჩვენთან კიდევ სომეხი ასოცირდება უარყოფითთან, აფერისტთან, ძუნწთან, იმიტომ, რომ ეტყვი რა სომეხი ხარო, იმას უნდა ეწყინოს“).

სომეხი სტუდენტების მიერ ქართველების შეფასება ძალზე ორაზროვანია: ერთი მხრივ, ისინი ქართველებს მიიჩნევენ თავის ტოლად (“ასე თუ ისე, ვგავართ ერთმანეთს, იმიტომ, რომ ძან ახლოს ვართ, ხო ძან ახლოს ვართ და იმიტომ, რომ ვგავართ, ავტომატურად, ბუნება გვიქმნის იმას, რომ ჩვენ გავუგოთ ერთმანეთს“). თუმცა, ძირითადად, აღიარებენ განათლებულ და “თბილისელ” ქართველებს (“თბილისელი ქართველები მაგას არ იტყვიან, სოფლიდან ჩამოსული, კიდე - შე სომეხო და აუ ესა და ისა“. “ხანდახან ისეთ უაზრობებს ამბობენ თუნდაც ჩვენს ისტორიაზე, რომ, ... ამკარად ჩანს, ... რომ ეს ადამიანი გაუნათლებელია“). ქართველების ნაწილს კი, ფაქტობრივად, უწოდებენ “სოფლელებს“, აკნინებენ და არ მიიჩნევენ თავის ღირსად (“უბრალოდ თავს ვიკავებთ ასეთ ქართველებთან ურთიერთობისგან, რომ კონფლიქტი არ იყოს, ... და არასოდეს ავუხსნით იმ ქართველს, ... იმიტომ, რომ არ ღირს“).

სომეხი სტუდენტები აზერბაიჯანელებს ყოფენ ორ ჯგუფად “ქართველ” აზერბაიჯანელებად და დანარჩენ აზერბაიჯანელებად (“ჩვენ გვყავს ბევრი

მეგობრები, აზერბაიჯანელები, საქართველოში მცხოვრებლები, რა თქმა უნდა, ბაქოელებთან არ გვაქვს ... ძალიან სხვანაირები არიან“. “...ძალიან განსხვავდებიან სხვა აზერბაიჯანელებისგან“. თუმცა, აშკარად დომინირებს დისტანცია და შიში (“...ერთი ორი გოგო არი და როგორ გვიყურებენ იცით? თითქოს მაგათი მტერი ვიყოთ, აი, ლამის ამოვიდნენ და მოგვკლან“. “უშუალო ურთიერთობები არც მაქვს და არც მექნება იმედია“ “... ბიძაჩემი დაიღუპა ომში, აზერბაიჯანელებთან, მთიანი ყარაბახის დროს და ამიტომ არ შემიძლია“. “...აზერბაიჯანში რო ჩახვიდე, შეიძლება მოგკლან“. “...შიშის ფაქტორი მაქვს, ხო გესმით? ... აი მე ვერა, ვერ, ვერა, ვერ ვენდობი“). საბოლოოდ, სომხები მაინც ზოგადად, ისტორიულ წარსულზე დაყრდნობით აფასებენ აზერბაიჯანელებს, როგორც შურიანებს, დაუნდობლებს და საშიშებს.

აზერბაიჯანელი სტუდენტები უპირობოდ აღიარებენ ქართველების სტატუსს, ერთგვარ რიდს ავლენენ ქართველების მიმართ. თავის თავს სოციალურად ქართველებს უწოდებენ

(“ჩვენ ... სოციალურად ქართველები ვართ ... საქართველოც სამშობლოა და აზერბაიჯანიც“), ეამაყებათ ქართველებთან ურთიერთობები, თუმცა მიაჩნიათ, რომ ქართველებისგან ვერ არიან სათანადოდ დაფასებულები (“მას, ქართველს რომ სცოდნოდეს ჩვენი რელიგია, მემგონი პატივისცემა უფრო მოემატება“).

აზერბაიჯანელ სტუდენტებს სომხების შესახებ თითქმის არ სურთ საუბარი. აზრი, რომელსაც გამოთქვამენ, თითქოს ძალდატანებითია. აზერბაიჯანელები არ აღიარებენ სომხების სტატუსს, არ იზიარებენ მათ აზრს, სომხების გამორჩეულობაზე და ახასიათებენ მათ, როგორც მატყუარებს (“გონიათ, რომ საერთოდ მსოფლიო თავიანთი არის...“; “ტყუილი იციან ძაან სასწაულები“).

სხვა ეთნიკური ჯგუფების ცოდნა

ქართველები თავადაც აღიარებენ, რომ ისინი, ზოგადად, არ ინტერესდებიან აქ მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წეს-ჩვეულებების სწავლით, გარდა იმ გამონაკლისი შემთხვევებისა, როცა მათთან აქვთ პირადი ურთიერთობები.

ჩვეულებრივ, ქართველებს აზერბაიჯანელი და თურქი ერთმანეთში ერევათ, ასევე - სომეხი და ებრაელიც (“მანაშეროვი ებრაელი არის და ჩვენ თუ გავიგონეთ რომ გვარი არაქართულია მაშინვე სომეხი ან აზერბაიჯანელი გვგონია და ბოლომდე ნამდვილად სიღრმისეულად ეტყობა არ ვინტერესდებით ამითი”).

ასევე, მწირი წარმოდგენა აქვთ სომხების კულტურასა და აღმსარებლობაზე. იციან, რომ სომხებიც ქრისტიანები არიან, მაგრამ არც ინტერესდებიან მათი რელიგიის თავისებურებით (“ღრმად ჩახედულები არა ვართ... არა ვართ ინტეგრირებულები ერთმანეთთან... ჩვენი ბრალია, იმიტომ, რომ არ გვინდა მათთან ურთიერთობა იმავე სტერეოტიპებიდან გამომდინარე...”).

ქართველები თავის თავს მიიჩნევენ ტოლერანტებად და შემწყნარებლებად, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს უფრო სტერეოტიპია, ვიდრე რეალობა, რადგან, უმეტესად, ვერ აყალიბებენ, რაში გამოიხატება ტოლერანტობა, ასევე, რაში მდგომარეობს აზერბაიჯანელთა და სომეხთა რელიგიის თავისებურებები

(არსი). ეს კარგად ჩანს ქართველ სტუდენტთა შემდეგ დიალოგში:

- “რელიგიურადაც შემწყნარებლები ვართ, ვცემთ პატივს სხვის რელიგიას...”

- “ნუ ეგრეც არ არის... ქართველებს სხვისი რელიგია კი არა, თავისი რელიგიაც არ აინტერესებთ... რამდენმაცის სახარება, ისიც საკითხავია...”

სომხები საკმაოდ კარგად იცნობენ ქართველთა ყოფას, მათ ადათ-წესებს, ცხოვრების სტილს, ზოგადად, კულტურას. უკეთ ერკვევიან მათ შორის არსებულ რელიგიურ თავისებურებებში. ამ გათვითცნობიერებას იმით ხსნიან, რომ კულტურით და თავისებურებებით ქართველები მათთან ახლოს მდგომი ერია (“ასე თუ ისე ვგავართ ერთმანეთს, იმიტომ რომ ძაან ახლოს ვართ, ხო ძაან ახლოს ვართ და იმიტომ, რომ ვგავართ, ავტომატურად, ბუნება გვიქმნის იმას, რომ ჩვენ გავუგოთ ერთმანეთს”).

სომხები თითქმის არ ინტერესდებიან აზერბაიჯანელების კულტურული თუ რელიგიური თავისებურებებით. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ სომეხი სტუდენტის მსჯელობა, რომელიც აღნიშნავს: “...მაგრამ ერთი მინუსია, სომხები არ

არჩევენ აზერბაიჯანელებს და თურქებს, ეს ხომ ერთი ერი არ არის. ძალიან ცუდია, რომ არ არჩევენ, მათთვის მნიშვნელობა არ აქვს, 99 % სომხების ეგრე არის, რომ მათთვის არ აქვს მნიშვნელობა აზერბაიჯანელია თუ თურქი“.

აზერბაიჯანელები ზედმიწევნით გახსნილები არიან ქართული კულტურული თავისებურების ცოდნის მიღებისთვის. მათი მსჯელობიდან ჩანს, რომ ბევრი იციან და მეტი უნდათ იცოდნენ ქართველების ყოფა-ცხოვრებისა და კულტურულ-რელიგიური თავისებურებების შესახებ.

აზერბაიჯანელები კატეგორიულად ამბობენ, რომ არც არაფერი იციან და არც აინტერესებთ სომხების ტრადიციებისა და კულტურის შესახებ (“ძირითადად, მაგათზე, არც ტრადიციებზე არ ვიცი, არც არაფერზე“), თუმცა, ჩვენი აზრით ეს უფრო პოზიციაა, ვიდრე რეალობა.

თვისებები, რომლებსაც კვლევაში მონაწილეები მიაწერენ საკუთარ და სხვა ჯგუფებს

სომეხი სტუდენტები თავიანთ თავს ახასიათებენ, როგორც პატრიოტებს, სტუმართმოყვარეებს, ხელმომჭირნეებს.

გარდა ამისა, მიიჩნევენ, რომ ისინი, ებრაელების მსგავსად, სხვა ერებისგან განსაკუთრებული ნიჭიერებით გამოირჩევიან. ასევე, ხაზს უსვამენ ქალის როლს სომხურ ოჯახებში („ოჯახი არის მყარი ქალიდან გამომდინარე, თუ ქალი მაგარია, ოჯახიც მყარია“).

ქართველები სომხებს უფრო დადებითად ახასიათებენ, ვიდრე აზერბაიჯანელები - სომხებს. ქართველ სტუდენტთა აზრით, სომხები „ერთგულები“, „პატრიოტები“, „გახსნილები“ არიან. ასევე, ახასიათებენ მათ, როგორც „ამპარტავნებს“ და „ეგოისტებს“. აზერბაიჯანელების აზრით კი, სომხები „მატყუარები“, „აფერისტები“ და „არაერთგულები“ არიან. ქართველი და აზერბაიჯანელი სტუდენტების აზრი ერთმანეთს ემთხვევა იმასთან დაკავშირებით, რომ სომხები არიან შრომისმოყვარეები და ზედმეტი წარმოდგენა აქვთ თავიანთ თავზე („ქვეყანა თავისი ჰგონიათ“; „თავიანთი თავი ყველაზე ჭკვიანი ჰგონიათ“).

ქართველი სტუდენტები საკუთარ თავზე საუბრისას, პირველ რიგში, აღნიშნავენ, რომ სტუმართმოყვარეები, ემოციურები და ზარმაცები არიან.

ქართველი სტუდენტები, ასევე, ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ ქართველები ერიდებიან პასუხისმგებლობების აღებას, არიან სხვების აზრზე დამოკიდებულები და ხშირ შემთხვევაში უჭირთ გადაწყვეტილებების მიღება მშობლების გარეშე. ქართველების ტოლერანტობასთან დაკავშირებით ჯგუფში აზრი ორად გაიყო. მათი ნაწილი მიიჩნევდა, რომ ქართველებს შეუძლიათ სხვისი კულტურისა და რელიგიის პატივისცემა, ნაწილი კი ფიქრობდა, რომ ქართველებს პიროვნულ დონეზეც კი უჭირთ სხვა ადამიანის აზრის მიღება და პატივისცემა (მათ საკუთარი თავი, ასევე, დაახასიათეს, როგორც „ცრუმორწმუნეები“, „კონსერვატულები“ და „ჯიუტები“).

რაც შეეხება სომეხ და აზერბაიჯანელ სტუდენტებს, მათი აზრი ერთმანეთს დაემთხვა ქართველების სტუმართმოყვარეობასთან და მეგობრულობასთან დაკავშირებით. სომეხმა აღნიშნეს, რომ ქართველები ბუნებით ზარმაცები არიან. აზერბაიჯანელებიც იზიარებენ აზრს ქართველების სიზარმაცის შესახებ. ისინი სიზარმაცეს და უნებისყოფობას ქართველ კაცებს მეტად მიაწერენ, ვიდრე - ქალებს.

ქართველები, ასევე დაახასიათეს, როგორც „ემოციურები“ და „ამბიციურები“. სომეხმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ქართველებს შეუძლიათ ერთმანეთის მხარდაჭერა და გვერდით დგომა (მაგ., კონკურსებზე, სხვადასხვა შეჯიბრებებზე), რაც მათ თავად არ ახასიათებთ. აზერბაიჯანელებმა კი დამატებით აღნიშნეს, რომ ქართველებს განსაკუთრებით უყვართ დროსტარება და მათთან შედარებით, თანამედროვეები არიან.

აზერბაიჯანელმა სტუდენტებმა თავიანთი თავი, ძირითადად, დაახასიათეს, როგორც „შრომისმოყვარეები“, „სტუმართმოყვარეები“, „პატრიოტები“ და „თავმდაბლები პირად ურთიერთობებში“. ერთადერთი უარყოფითი თვისება, რომელზეც მათ ისაუბრეს, უკავშირდება მათ ტრადიციას, რომლის მიხედვითაც გოგონებს ადრეულ ასაკში ათხოვებენ და მათ აზრს არ ითვალისწინებენ. ისინი, ისევე როგორც ქართველი სტუდენტები, ფიქრობენ, რომ აზერბაიჯანელი ქალის უფლებები შეზღუდულია და ისინი იჩაგრებიან თავიანთ კულტურაში.

ზოგიერთი სომეხი სტუდენტის აზრით, აზერბაიჯანელები საკმაოდ სტუმართმოყვარეები, ხოლო პირად ურთიერთობებში თბილები და ყურადღებიანებიც არიან. თუმცა, უმეტესობა, ისტორიულ წარსულზე დაყრდნობით, მათ ახასიათებს, როგორც შურიანებს და დაუნდობლებს.

რაც შეეხება ქართველებს, მათი მხრიდან აზერბაიჯანელების დახასიათება უფრო მრავალფეროვანია - ისინი მიიჩნევენ, რომ აზერბაიჯანელები მშრომელები და მიზანდასახულები, პირად ურთიერთობებში კი ხელგამლილები და კომუნიკაბელურები არიან. გარდა ამისა, ქართველი სტუდენტების ნაწილმა ისაუბრა იმაზეც, რომ ისინი მატერიალურ ღირებულებებზე არიან ორიენტირებულნი და მათთვის მთავარი „ფული და კარგი სახლია“, თუმცა ამისათვის შრომას არ იზარებენ და ნაკლებ ყურადღებას აქცევენ განათლებას, განსაკუთრებით, გოგონების შემთხვევაში. აზერბაიჯანელები ასევე დაახასიათეს, როგორც „ტრადიციულები“ და „წესების ზედმეტად მორჩილები“.

დამოკიდებულებები ეთნიკურ ჯგუფებს შორის

სომეხი და ქართველები

სომეხი სტუდენტები ერთხმად აღიარებენ, რომ ისინი საქართველოში ეთნიკური ნიშნით იჩაგრებიან. განსაკუთრებით, როდესაც საქმე სამსახურში აყვანას ეხება, პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით, ისინი ამბობენ, რომ მათი ინტელექტისა და შესაძლებლობების მიუხედავად, ქართველებს ურჩევნიათ „ქართული გვარის ადამიანი აიყვანოს სამსახურში და არა ვიღაც სომეხი“. ამ მოსაზრებას ქართველი სტუდენტებიც ეთანხმებიან და აღიარებენ, რომ სომეხები ხშირად იჩაგრებიან ეროვნების გამო, რის გამოც, ხშირად გვარსაც იკეთებენ. გარდა ამისა, სომეხები საუბრობენ ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ქართველი მშობლები უკრძალავენ შვილებს მათთან ურთიერთობას, ეზოში თამაშს და ხშირად ისმენენ ფრაზებს, რომლებშიც „სომეხობა“ ნაკლად მოიაზრება: „ჭკვიანია, მაგრამ სომეხია“, „კარგია, მაგრამ სომეხია“, თუმცა აღნიშნავენ, რომ ძირითადად, ასეთ დამოკიდებულებას რეგიონებიდან ჩამოსული ქართველებისგან გრძნობენ.

სომხები მიიჩნევენ, რომ ეს პრობლემა ოჯახიდან მოდის და ასეთ დამოკიდებულებას მათ ოჯახში უყალიბებენ. მიუხედავად ამ ყველაფრისა, ისინი მაინც თვლიან, რომ ქართველები პირად ურთიერთობებში სანდომიანები და თბილები არიან. ქართველების და სომხების აზრი ერთმანეთს ემთხვევა იმასთან დაკავშირებით, რომ ქართველებისთვის „სომხობა“ უარყოფითია. ქართველები აღნიშნავენ, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში ენდობიან სომეხს (თუნდაც თანამშრომლობისას), თუ კარგად იცნობენ მას, სხვა შემთხვევაში კი სიფრთხილეს გამოიჩინენ.

სომხები და აზერბაიჯანელები

სომხებმა, პირველ რიგში, აღნიშნეს, რომ „ქართველი აზერბაიჯანელები“ განსხვავდებიან ბაქოელი აზერბაიჯანელებისაგან მათ მიმართ დამოკიდებულებით და შეხედულებებით. „ქართველ აზერბაიჯანელთან“ ურთიერთობა მათთვის უფრო დასაშვებია. თუმცა, სტუდენტთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ აზერბაიჯანელ სტუდენტებთან პირადი ურთიერთობა მათთვის წარმოუდ-

გენელია (ზოგს სურვილიც არ აქვს), რადგან მათი აზრები აუცილებლად გაიყოფა უახლოეს ისტორიულ წარსულთან დაკავშირებით. ისინი ხშირად გრძნობენ სიძულვილს აზერბაიჯანელი თანატოლებისაგან. საერთო ჯამში კი, მათი ემინიათ (ფიზიკურად) აზერბაიჯანელების და ვერც პირად ურთიერთობებში ენდობიან მათ. რაც შეეხება დამოკიდებულებების შეცვლას, სომეხი სტუდენტები ფიქრობენ, რომ აზერბაიჯანელებს მათ მიმართ დამოკიდებულების შეცვლის სურვილიც არ აქვთ. თუმცა აცხადებენ, რომ თუ ისინი „სხვანაირად შეხედავენ მათ, მაშინ სომხებიც დაფიქრდებიან დამოკიდებულების შეცვლაზე“. მათი აზრით, სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის ურთიერთობების დალაგებას ძალიან დიდი დრო სჭირდება და მხოლოდ მათი შვილიშვილების თაობა თუ შეძლებს ნორმალურ ურთიერთობას.

აზერბაიჯანელი სტუდენტების ნაწილი მიიჩნევს, რომ პირადი ურთიერთობა სომხებთან შესაძლებელია, თუმცა ამავე დროს, ძალზე დაბალია ამ ურთიერთობების ნდობის ხარისხი. (“მეც მყავს ერთი სომეხი ახლობელი ...

სტუმართმოყვარე ჩანს, შრომისმოყვარეა გეტყვის მობრძანდით, მაგრამ ერთგული არ არის; იმიტომ, რომ მისი თვალებიდან ჩანს, რას ამბობს და რას ფიქრობს“); ხოლო ნაწილი მიიჩნევს, რომ აზერბაიჯანელი საერთოდ არ უნდა ინტერესდებოდეს სომხებთან ურთიერთობით.

ქართველები და აზერბაიჯანელები

აზერბაიჯანელი სტუდენტები აღნიშნავენ, რომ ქართველები მათ ხშირად „თათრებად“ მოიხსენიებენ, რაც შეურაცხყოფთ მათ და უპატივცემულობად მიიჩნევენ. ისევე, როგორც ქართველი სტუდენტების ჯგუფში, აზერბაიჯანელების ჯგუფშიც წამოიჭრა ურთიერთსაწინააღმდეგო აზრი ქართველების მიერ მათი კულტურისა და ტრადიციების პატივისცემასთან დაკავშირებით. ჯგუფის წევრების ნაწილი საუბრობდა იმაზე, რომ ქართველები პატივს სცემენ ხოლმე მათ წესჩვეულებებს (მაგალითად, როდესაც ერთად არიან, ქართველებს არ მიაქვთ სუფრასთან ღორის ხორცი/ღვინო), ხოლო ნაწილმა გაიხსენა შემთხვევები, როდესაც ქართველები არ ითვალისწინებენ მათ წესებს.

ქართველმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ, სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან შედარებით, პოზიტიური დამოკიდებულება აქვთ აზერბაიჯანელების მიმართ და ისინი მეტ ნდობას იმსახურებენ ურთიერთობებში, ვიდრე სომხები. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქართველები მიიჩნევენ, რომ ზოგადად, ქართველები, არცერთ ეთნიკურ უმცირესობასთან არ არიან ინტეგრირებული.

შედეგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სომხებთანაც და აზერბაიჯანელებთანაც გამოიკვეთა ტენდენცია, რომ ისინი ქართველებს უფრო ენდობიან და მათ უფრო დაუჭერენ მხარს საჭიროების შემთხვევაში (ვიდრე ერთმანეთს).

რაც შეეხება სხვა ეროვნების წარმომადგენელზე ქორწინების საკითხს, მათ შემდეგი მოსაზრებები გამოთქვეს: *სომხების* უმრავლესობა მიიჩნევს, რომ არ უნდა იქორწინონ სხვა ეროვნების წარმომადგენელზე, თუმცა უფრო მეტად მისაღებად მიაჩნიათ ქართველთან ქორწინება, ვიდრე აზერბაიჯანელთან, ან ნებისმიერი სხვა ეროვნების წარმომადგენელთან (“...რო კითხვით გოგოებს, სხვა ეროვნებას გაყვები თუ არა,

უფრო იტყვიან ძირითადად არა, მაგრამ ქართველს უფრო გაყვებიან, სხვა ეროვნებას არა. იმიტომ რომ, თუნდაც რელიგიის გამო, თუნდაც ... ქართველებთან უფრო აქვთ რაღაც კავშირი ხო? სხვა ეროვნებასთან არ ვიცი, 90% იტყვის რომ არა“).

ქართველები მიიჩნევენ, რომ სომხები უფრო მეტად ქორწინდებიან ქართველებზე, ვიდრე - აზერბაიჯანელები. ქართველი ბიჭები თანაბრად უშვებენ სომეხთან და აზერბაიჯანელთან ოჯახის შექმნას, გოგონები კი სომეხთან ქორწინებას უფრო უშვებენ, ვიდრე - აზერბაიჯანელთან. მათ ჯგუფში არ გამოიკვეთა კატეგორიული აზრი, რომ არ იქორწინებენ სხვა ეროვნების ადამიანთან.

აზერბაიჯანელები უფრო კატეგორიულები არიან ამ საკითხში, გოგონების უმრავლესობისთვის მიუღებელია სხვა ეროვნების და სარწმუნოების ადამიანზე ქორწინება, ბიჭების უმრავლესობაც ეთანხმება მათ აზრს, თუმცა ჯგუფის ზოგიერთმა წევრმა აღნიშნა, რომ ქართველთან ქორწინება დასაშვებია მათთვის.

ქართული ენის ცოდნასა და ქართული კულტურის გაცნობასთან

დაკავშირებით, ქართველებიც, სომხებიც და აზერბაიჯანელებიც ერთ აზრზე თანხმდებიან: ისინი მიიჩნევენ, რომ ნებისმიერი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელმა, რომელიც ცხოვრობს საქართველოში, კარგად უნდა იცოდეს ქართული ენა და იცნობდეს ქართულ კულტურას. თუმცა აზერბაიჯანელებმა და სომხებმა აღნიშნეს, რომ მათ ენაზე საუბარი ხშირად აღიზიანებთ ქართველებს და მათგან მოითხოვენ, რომ ქართულად ისაუბრონ. აზერბაიჯანელებმა დამატებით გაამახვილეს ყურადღება იმაზე, რომ კარგი იქნებოდა თუ ქართველებიც ისწავლიდნენ და დაინტერესდებოდნენ მათი კულტურითა და ტრადიციებით, რადგან ამით ქართველებს შეუძლიათ პატივისცემა გამოხატონ აზერბაიჯანელების მიმართ.

მიღებული შედეგების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სხვადასხვა ეთნიკური მიკუთვნებულობის სტუდენტთა ჯგუფებს შორის არსებული განწყობები და დამოკიდებულებები არაერთგვაროვანია, ამასთანავე, ისინი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მათ შორის - ინტერაქციის გამოცდილებაზე. უფრო მეტიც, ეს

გამოცდილება ზეგავლენას ახდენს იმ სოციალურ მიზნებზეც, რომლებიც ამ ჯგუფებს აქვთ არსებულ კონტექსტში. ქართველი სტუდენტები საკუთარ კომფორტზე და სიამოვნებაზე ზრუნავენ, მაშინ, როცა აზერბაიჯანელი და სომეხი სტუდენტები თვითდამკვიდრებისა და უსაფრთხოებისკენ მიისწრაფვიან.

თუ წარმოდგენილ ანალიზს შევაჯამებთ, მაშინ შეიძლება დავასკვნათ:

ქართველი სტუდენტები არ ინტერესდებიან აზერბაიჯანელთა კულტურულ-რელიგიური თავისებურებებით; არ ესწრაფვიან მათთან ურთიერთობის დამყარებას, იმ იშვიათი გამონაკლისების გარდა, როცა უწევთ ერთ სივრცეში ყოფნა, ცხოვრება და სწავლა, ინიციატივა, ძირითადად, აზერბაიჯანელებისგან მოდის; ისინი უფრო აზერბაიჯანელებისგან მოითხოვენ ქართულ კულტურაში ინტეგრაციას.

ქართველი სტუდენტები სომხებთან ურთიერთობის გაღრმავებას არ ესწრაფვიან, და მიუხედავად ისტორიული სიახლოვისა, კარგად არ იცნობენ სომხურ კულტურას, თუმცა მათთან მჭიდრო ურთიერთობა, თუნდაც, ოჯახის შექმნა, მეტად დასაშვებად მიაჩნიათ,

ვიდრე აზერბაიჯანელებთან. ქართველები სომხებისგან ნაკლებად მოითხოვენ ინტეგრაციას, ქართულ ტრადიციებზე მორგებას. შეიძლება ითქვას, აღიარებენ სომხების ინდივიდუალიზმს, მაგრამ მკვეთრად ემიჯნებიან მათ (მაგალითად: “ჭკვიანია, მაგრამ სომეხია”).

აზერბაიჯანელი სტუდენტები ხედავენ ქართველების როგორც ღირსებას, ასევე ნაკლს, ერთგვარ წყენასაც გამოხატავენ ქართველების მიმართ ნაკლები კომუნიკაციის გამო. მათ ქართველებთან მჭიდრო ურთიერთობის სურვილი აქვთ.

აზერბაიჯანელი სტუდენტები არ ცნობენ სომხებთან ურთიერთობას და სომხების მიმართ მათ მკაცრი სტერეოტიპული ხედვა გააჩნიათ, რაც, სავარაუდოდ, ისტორიული მტრობის შედეგია.

სომეხი სტუდენტები ქართველების მიმართ საყვედურს გამოთქვამენ, იმასთან დაკავშირებით, რომ მათთვის შეუძლებელია სრულფასოვანი ინტეგრაცია ქართულ სივრცეში, შეუძლებელია პრესტიჟული სამსახურის შოვნა იმ შემთხვევაში, თუ გვარს არ შეიცვლი,

თუმცა, თვითონაც არ უშვებენ უცხო სივრცეში, რომელიც ძირითადად ოჯახის სახით აქვთ წარმოდგენილი; კატეგორიულად არ ცნობენ სხვა ეროვნების წარმომადგენელთან ოჯახის შექმნას, მათ შორის, არც ქართველთან.

სომეხი სტუდენტები აზერბაიჯანელების მიმართ შიშს და უნდობლობას გამოხატავენ, მათთან ყოველგვარ ურთიერთობაზე უარს ამბობენ, აზერბაიჯანელში მხოლოდ მტრის ხატს ხედავენ; თუმცა “ქართველ აზერბაიჯანელს” განსხვავებულად განიხილავენ და აღიარებენ მათ დადებით თვისებებს, ზოგადად, აზერბაიჯანელებისგან განსხვავებით. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ურჩევნიათ მათგან დისტანციაზე ყოფნა.

თუ კვლევის შედეგად მიღებულ მონაცემებს განვიხილავთ ინტერკულტურული კომპეტენტურობის ჭრილში, რომელიც შედგება პოლარული კონსტრუქტებისგან - ეთნოცენტრულობისა და ეთნორელატიურობისგან, ხოლო ეთნოცენტრულობის განსაზღვრისთვის გამოვიყენებთ ბრევერისა და კემპბელის ზემოთ განხილულ კრიტერიუმებს (Brewer, Campbell, 1976) მაშინ, მიღებულ

მონაცემებზე დაყრდნობით, იკვეთება შემდეგი სურათი:

სომეხი სტუდენტები

- ✓ ისინი საკუთარი კულტურის ელემენტებს: ნორმებს, როლებს, ღირებულებებს (მიუხედავად კრიტიკის ელემენტებისა), სხვებთან შედარებით, უპირატესად მიიჩნევენ;
- ✓ საკუთარ წეს-ჩვეულებებს, უფრო მეტად პიროვნულ მახასიათებლებს, განხილავენ, როგორც, თითქმის, უნივერსალურს;
- ✓ მათთან დასტურდება ისეთი შეხედულებები, როგორცაა: საკუთარი ეთნიკური ჯგუფის წევრებთან თანამშრომლობისთვის უპირატესობის მინიჭება, მათთვის დახმარების აღმოჩენა, მათით სიამაყე, სხვა ჯგუფების მიმართ უნდობლობა და მათი მტრობაც კი.

აზერბაიჯანელი სტუდენტები

- ✓ მათ ახასიათებთ საკუთარი კულტურის ელემენტების, როგორც ჭეშმარიტის აღქმა. ეს განსაკუთრებით ეხება რელიგიურ

- ღირებულებებს, თუმცა ისინი სხვათა კულტურულ-რელიგიური ღირებულებების მიმართაც ლოიალურები არიან;
- ✓ საკუთარ წეს-ჩვეულებებს სხვებთან მიმართებაში განიხილავენ მართებულად, თუმცა, მათი, როგორც უნივერსალურის წარმოჩენას მაინც ერიდებიან;
 - ✓ მათ აქვთ წარმოდგენები იმის შესახებ, რომ ადამიანისთვის ბუნებრივია საკუთარი ეთნიკური ჯგუფის წევრებთან თანამშრომლობა, მათთვის დახმარების აღმოჩენა. არ არის განსაკუთრებით ხაზგასმული, მაგრამ აშკარაა მათი უნდობლობა და მტრული განწყობა სომხების მიმართ.

ქართველი სტუდენტები

- ✓ მართალია, ამაცობენ საკუთარი კულტურის ზოგიერთი ელემენტით, მაგრამ სხვა კულტურის ელემენტებს არ განიხილავენ, როგორც არაბუ-ნებრივსა და არასწორს;
- ✓ საკუთარ წეს-ჩვეულებებს განიხილავენ როგორც უნიკალურს,

მაგრამ არა როგორც უნივერსალურს;

- ✓ ქართველ სტუდენტებთან არ ვლინდება ამ ორი ეთნიკური ჯგუფის (სომხებისა და აზერბაიჯანელების) მიმართ მტრობა, ან განსაკუთრებული უნდობლობა, თუმცა იკვეთება მათ მიმართ ინტეგრირების ინტერესის არქონა.

ამრიგად: სომეხი სტუდენტები ეთნოცენტრულობა / ეთნორელატიურობას ავლენენ სამივე კრიტერიუმის / მახასიათებლის მიხედვით; აზერბაიჯანელი სტუდენტები ორი კრიტერიუმის მიხედვით, მხოლოდ ნაწილობრივ ავლენენ ეთნოცენტრულობას, ხოლო მესამე კრიტერიუმის მიხედვით, მხოლოდ სომხების მიმართ; ქართველი სტუდენტები არ ავლენენ აშკარა ეთნოცენტრულ ტენდენციებს, მეორე კრიტერიუმის მიხედვით ჩანს ოდნავ გამოკვეთილი ტენდენცია.

მოცემული თვისებრივი კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას:

- (1) ქართველ სტუდენტებთან მკაფიოდ არ იკვეთება ეთნოცენ-

ტრულობა, შესაძლებელია დავი-
ნახოთ უმნიშვნელო ტენდენციები.
თუმცა, აღსანიშნავია, რომ მათთან
არც ეთნორელატიური ტენდენ-
ციები არ აღინიშნება. ზოგადად,
ქართველების ინტერკულტურუ-
ლი კომპეტენტურობა სომხებისა
და აზერბაიჯანელების მიმართ არ
არის ჩამოყალიბებული და
განვითარებული. როგორც ჩანს,
მათ მიერ ხშირად აპელირებული
ტოლერანტობა სხვა არაფერია, თუ
არა ამ ეთნიკური ჯგუფებისთვის
მათ გვერდით არსებობის დაშვება
(ნებართვა).

(2) სომეხ ახალგაზრდებთან აშკარად
ჩანს ეთნოცენტრული ტენდენ-
ციები: ჩაკეტილობა, თავდაცვა,
თავის ქება-განდიდება, სხვა

ეთნიკური ჯგუფის მტრად მიჩნევა,
მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ
ისინი ეთნოცენტრულობას
ავლენენ აზერბაიჯანელების
მიმართ; ხოლო ქართველებთან
მიმართებით, შეიძლება ითქვას,
რომ ისინი ერთგვარად ეთნო-
რელატიურები არიან.

(3) აზერბაიჯანელელი ახალგაზრ-
დები ავლენენ ერთგვარ ეთნო-
ცენტრულობას, რასაც სავარაუ-
დოდ, მათი რელიგიური
განსხვავებულობა განაპირობებს.
ისინი, აგრეთვე, ეთნორელატიურ
ტენდენციებსაც ავლენენ, მაგრამ,
მხოლოდ, ქართველების მიმართ;
სომხების მიმართ, ისინი მკაფიოდ
ეთნოცენტრულები არიან.

გამოყენებული ლიტერატურა

- ბენეტი 1993** - Bennett, M. J. (1993). Towards ethnorelativism: A developmental model of intercultural sensitivity. In R. M. Paige (Ed.), *Education for the intercul experience*. Yarmouth, ME: Intercultural Press.
- ბენეტი 1998** - Bennett, M. J. (1998). Intercultural communication: A current perspective. In M.J.Bennett (Ed.), *Basic concepts of intercultural communication: Selected readings*. (pp. 1-34). Yarmouth, ME: Intercultural Press.
- ბრევერი, კემპბელი 1986** - Brewer, M. B., Campbell, D. T. Ethnocentrism and intergroup attitudes: East African evidence. N.Y., 1986.
- კონი 1983** - Кон И.С. Этноцентризм //Философский энциклопедический словарь. М., 1983. С 812.
- სტეფანენკო 2003** - Стефаненко Т. Г. Адаптация к новой культурной среде // Этно психология 2003 С.324-351.
- ტაბატაძე, ნაცვლიშვილი, 2008** - ტაბატაძე შ., ნაცვლიშვილი ნ. ინტერკულტურული განათლება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, თბ., 2008.